# თავისუფალი საქართველო

მრავალი მაგიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

18. X. 1991 ფასი 50 კაპ. № 39 (44)


## მოკრძალებული რეპლიკა ქედუხრელ ქართველ მწერლებს

**მეტად** გაგვახარა ქართველ მწერალთა მიმართვამ ხალხისადმი, საქართველოს ხელისუფლებისადმი და მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობისადმი. სასიამოვნოა, რომ ათწლეულების მანძილზე დადუმებული ქართველი მწერლები დღეს ასე შემართებით, ხმამაღლა, ყველას გასაგონად გამოთქვამენ თავის პოზიციას. მოგეხსენებათ, ჩვენი გაზეთი დამოუკიდებელი ორგანო არ გახლავთ და ჩვენთვის ჩვეული მიკერძოებით ქართველ მწერალთა ამ ვაჟკაცურ ამბოხს, ბატონი ზვიად გამსახურდიას დემოკრატიული მმართველობის უდავო გამარჯვებად მივიჩნევთ. ბატონმა ზვიადმა ერთ წელიწადში მოახერხა ის, რასაც გამოცდილ ლოგოპედთა ან ფსიქოანალიტიკოსთა მთელი არმია გაცილებით მეტ დროს მოანდომებდა, ერთდროულად ყველა მუნჯს ამოაღებინა ხმა.

არადა, ჯერ კიდევ 1987 წლის ოქტომბერში ისე ჩანდა, თითქოს ჩვენს მწერლებს ენას ვერა ძალა ვერ ამოუდგამდა. გულმავიწყებს გვინდა შევახსენოთ ილია ჭავჭავაძის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე. საქართველოს ისტორიაში ამ ჭეშმარიტად ღირსშესანიშნავმა ფაქტმა, რომელიც საყოველთაო ეროვნულ დღესასწაულად უნდა გადაქცეულიყო, იმხანად მიმდინარე „პერესტროიკისა" და „დემოკრატიზაციის" ფონზე შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი, ქართველი ერის ღირსების შემლახავი სახე მიიღო. რამდენადაც მახსოვს, არც ერთ ქართველ მწერალს ამის წინააღმდეგ პროტესტი არ გამოუთქვამს, მაშინ დიქტატურა იყო და უხმოდ ეგუებოდნენ ყველაფერს. ჩვენც გვესმოდა, რომ გმირობას მათ ვერ მოვთხოვდით და არავინ განგვისჯია ამ სამარცხვინო აქციაში მონურად მონაწილეობის გამო.

სამარცხვინო იყო, რომ ქართველ საზოგადოებას, მათ შორის მწერლებს, მოსაწვევ ბარათებთან ერთად პასპორტებიც უნდა წარედგინათ.

სამარცხვინო იყო, რომ მილიციის რამდენიმე კორდონი უნდა გადაგველახა. თვინიერი სახით, ხელში მოსაწვევითა და გადაშლილი პირადობის დამადასტურებელი მოწმობით.

სამარცხვინო იყო, რომ ეს ყველაფერი იმისთვის კეთდებოდა, რათა მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია და მათი თანამოაზრენი არ დასწრებოდნენ ილია ჭავჭავაძის იუბილეს.

სამარცხვინო იყო მწერლებისთვის და მეცნიერებისთვის ისეთი მოხსენებებით წარდგომა საზოგადოების წინაშე, ილია ჭავჭავაძის სახელი ეგნატე ნინოშვილით, იაკინთე ლისაშვილით ან რომელიმე სხვა მწერლის სახელით რომ ჩაგენაცვლებინა, არაფერი შეიცვლებოდა. მოხსენებათა შინაარსით ვერავინ მიხვდებოდა, რომ ილია ჭავჭავაძეს ყველა სხვა მწერლისაგან განსხვავებული ღვაწლი მიუძღვის ქართველი ერის წინაშე.

სამარცხვინო იყო, რომ ილიას ეროვნულ მისიაზე ორიოდ სიტყვის თქმა მხოლოდ უცხოელებმა გაბედეს.

სამარცხვინო იყო დარბაზში ჯდომა და უსახო, არაფრისმთქმელი, ზოგადი მოხსენებების მოსმენა.

სამარცხვინო იყო ცოცხალი, მართალი სიტყვის მოლოდინი და შემდეგ გულუბრყვილო რეაგირება ერთადერთ „დისიდენტურ" ფრაზაზე, რომელმაც ორი საათის უნაყოფო მოლოდინის შემდეგ გაიჟღერა — „მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდები?" ერთ-ერთი მომხსენებლის სიტყვაში ჩართულ ილიას ლექსს ფეხზე ადგომითა და მქუხარე ტაშის გრიალით შეეგება აქტუალურ სიტყვას დანატრებული საზოგადოება.

იმდენად სამარცხვინო, უღირსი და შეურაცხმყოფელი იყო ეს ყველაფერი, რომ ქართველმა საზოგადოებამ დატოვა ილია ჭავჭავაძის იუბილე.

სამარცხვინო იყო, რომ ხალხს კარი დაუკეტეს და ერთი საათის მანძილზე ქუჩაში არ უშვებდნენ. ფოიეში, მილიციელებით გარშემორტყმული საზოგადოება თავის პროტესტს იმით გამოხატავდა, რომ ითხოვდა, გაგვიღეთ კარი, გაგვიშვით აქედანო.

სამარცხვინო იყო ცარიელ დარბაზში სხდომის „საზეიმო ნაწილის" ჩატარება მას შემდეგ, რაც ვერ მოხერხდა ხალხის იქ ძალით შებრუნება.

ეს ყველაფერი არათუ სამარცხვინო, თავისმომჭრელიც იყო. დარწმუნებული ვართ, რომ მაშინ ბევრს (მათ შორის მწერლებსაც) გაუჩნდა პროტესტის გრძნობა, მაგრამ. უღონო ვიყავით და ეს სირცხვილი ყველამ გადაყლაპა — უსიტყვოდ, უპროტესტოდ, მორჩილად. რას იზამ, დიქტატურა იყო და ხმის ამოღება არ შეიძლებოდა, ძალა აღმართს ხნავსო, ნათქვამია.

რა შეიცვალა მას შემდეგ? მწერლების თქმით, ხომ ახლაც დიქტატურა მძვინვარებს?! მაშინ რატომ ბედავენ ასე ხმამაღლა, დაუფარავად, უშიშრად თავისი პოზიციის გაცხადებას? —

ორში ერთი, ან ეს დიქტატურა დიქტატურა არ არის, ან ეს ის მწერლები არ არიან, რომელნიც 1987 წელს საარაკო დამცირებას უძლებდნენ უსიტყვოდ. პასუხს მკითხველისაგან მოველით. ჩვენ ასეთ რთულ პრობლემას ხელაღებით ვერ გადავჭრით, გვეშინია, შეცდომა არ დავუშვათ.

---

წერილი რედაქციას

1991 წლის 11 ოქტომბრის გაზეთ „თავისუფალ საქართველოში" გამოქვეყნდა მიმართვა „ბურდების ვაცხადეთ", რომელშიც მეცნიერების, ხელოვნების დარგის მუშაკების, პედაგოგების, ექიმების, ინჟინრების, ეკონომისტების მოქალაქეობრივი ხელმოწერაა. ჩვენც, ინტელიგენციის წარმომადგენლები, ხმას ვიმაღლებთ და ვუერთდებით აღნიშნულ წერილზე ხელმოწერებს; ამასთან, ვგმობთ იმ ფუნქციონერ და პრივილეგირებულ ინტელიგენტების მოქმედებას, რომლებიც ცილისმწამებლურ და ანტიეროვნულ მოქმედებებით ახდენენ ქართული ინტელიგენციის [illegible]. ჩვენის მხრივ, [illegible] საქართველოს დამოუკიდებლობისა და [illegible] მიმავალ გზაზე, [illegible] ბატონ ზვიად გამსახურდიას.

[illegible handwritten signatures]

---



## ვინ უნდა აგოს პასუხი?

**ჯერაც** არ დამცხრალა ვნებები თბილისში. მძიმე კოშმარივით ჩაგვესმის ყურში ტყვიების ზუზუნი, კვლავ თვალწინ გვიდგას ზიზღით ანთებული თვალები და ეგზალტირებული შეძახილები — „დაგვხოცეს, ქართველებო!", „ძირს გამსახურდიას დიქტატი"!. ყოველივე ამის მონელებასა და გადახარშვას, ალბათ, დიდი დრო დასჭირდება.

მახსოვს, 4 ოქტომბერს, დღისით. იმ საზარელი ღამის დადგომამდე რამდენიმე საათით ადრე, მშვიდობიანი მანიფესტაცია პირისპირ შეხვდა „ოპოზიციის" რუსთაველის თეატრთან. „თქვენ ბრმები ხართ, ჩვენ უნდა აგიხილოთ თვალი, თქვენი არჩევანი არასწორია, გამსახურდია სისხლს ღვრის, ქართველების სისხლს თბილისის ზღვაზე..." ყვიროდნენ სახეშეშლილი ახალგაზრდა კაცები. რუსთაველის თეატრის აივნიდან კი ირაკლი ბათიაშვილი, თანამებრძოლთაგან განსხვავებით, მშვიდად და აუღელვებლად გვაუწყებდა ქართველთა სისხლის ღვრას და ხელისუფლების დამხობისაკენ მოგვიწოდებდა. მაგრამ ბათიაშვილი მალე მიხვდა, რომ უმსმენელოდ ამაოდ იხარჯებოდა და ტრიბუნა დატოვა. მისი მეგობრები კი „ბრბოს" შეურაცხყოფას აგრძელებდნენ, თქვენ ვინა ხართ, საქართველოს „ნაღები" ახლა ტელევიზიასთან არის — ირწმუნებოდნენ ჩვენი ქვეყნის ელიტის დესპანები.

12 ნოემბერს ტელევიზიაში ორივე მხარე იყო მოწვეული — პოზიციაც და ოპოზიციაც. ოპოზიციის მხრიდან ქ-ნი მაია ნათაძის გარდა, არავინ მობრძანდა. ჩვენს თვალწინ საზარელი სურათი გადაიშალა. ვისაც სურს მთელი სიცხადით გააცნობიეროს, თუ რას ნიშნავს ჟამთააღმწერლის სიტყვები, ქვა ქვაზე არ დარჩა მტრის შემოსევის შემდეგო, მას შეუძლია ტელევიზია იხილოს დღეს. სწორედ ქვა ქვაზე არ დატოვა თბილისის „ნაღებმა" საზოგადოებამ რადიო-ტელევიზიის დეპარტამენტის შენობაში.

დალეწილი მაგიდები, ჩამოგდებული კარები, კედლებიდან ჩამოხეული სურათები, მიყრილ-მოყრილი საჭმლის ნარჩენები, დამტვრეული ნათურები, ტყვიით დახლეჩილი კედლები, გაპარტახებული სამონტაჟოები, დაგლეჯილი სავარძლები, გადატეხილი სკამები, გამოყენებული ერთჯერადი შპრიცები და იატაკზე დაყრილი სისხლიანი ბამბის ნაკუწები... — ყოველივე ერთად ვანდალიზმის ისეთ შემზარავ სურათს ქმნის, რომელიც ყოვლისმხილველ მსოფლიოსაც გააოცებს.

არავის ეგონოს, რომ ეს მხოლოდ თავზეხელაღებული ბიჭების ჩადენილია. აკი ის რედაქციები, საიდანაც ოპოზიცია ეთერში „გაჭრას" ლამობდა, „ელუბლებელია"? ვუბბელია საქართველოს ტელევიზიის 11 არხის ოდნავ[illegible], რომლის დირექტორიც „ოპოზიციონერი" სერგი ბიწაძე გახლავთ. ხელუხლებელია ყველაფერი, რაც „ოპოზიციას" უნდა გამოდგომოდა, სამაგიეროდ ხელყოფილია „ოქროს ფონდი". მაშასადამე, ამ ვანდალური აქციის მონაწილეებმა კარგად იცოდნენ, რომელი მიმართულებით წარემართათ იქ დაბანაკებულთა რისხვა და ამიტომაც ითხოვენ დღეს ოპოზიციონერი ჟურნალისტები, რაც შეიძლება მალე გასვლას ეთერში.

ნეტავ, რატომ არ მობრძანდნენ ოპოზიციის წარმომადგენლები ამ საინტერესო სანახაობაზე, იქნებ მათთვის უკვე ცნობილია თანამზრახველთა მიერ ჩადენილი „საქმენი საგმირონი?" რატომ არ მობრძანდნენ ვალერი კვარაცხელია, ნანა ჯაფარიძე, მერაბ ბერაძე და სხვ. ვეკითხებით მერაბ ბერაძეს, რომლისთვისაც ტელევიზიაში უკანასკნელი 10 თვის განმავლობაში მომხდარი ამბები, როგორც 37-ში დაჭერილი მამის შვილისთვის, თურმე ძალიან მტკივნეული და მწარედ აღსაქმელია.

ბატონო მერაბ, თქვენ, რომელიც გამოუცდელს, გაუნათლებელს, ერუდიციის არმქონეს და მატყუარას უწოდებთ ტელერადიოდეპარტამენტის დღევანდელ ხელმძღვანელობას, საქციელს უწუნებთ თქვენს კოლეგებს („საქ. რესპუბლიკა" 12. X. „ღია წერილი ჩვენდამი ეთილგანწყობილ ჟურნალისტებს"), საინტერესოა, რა აზრისა ბრძანდებით დღეს, როდესაც თქვენმა მეგობრე და განათლებულმა თანამზრახველებმა ტელევიზიის გაპარტახებული შენობა ჩააბარეს საქართველოს?!

ქ-ნმა მაია ნათაძემ მხოლოდ ერთი ფრაზით შეაფასა ყოველივე ხილული — „გასაგებია, ყველაფერი გასაგებია..."

ჩვენთვის კი ყველაფერი გაუგებარი დარჩა. გაუგებარი და მიუღებელია დემოკრატიისთვის ბრძოლის ასეთი გზები, გაუგებარია, რა ამოძრავებდათ იქ მყოფ ადამიანებს, ნუთუ მხოლოდ ბოღმა? ჩვენთვის ასეთი ბოღმაც გაუგებარია.

ვინ უნდა აგოს პასუხი ყოველივე ამაზე? ვინ უნდა აუნაზღაუროს სახელმწიფოს ესოდენ დიდი ზარალი? იქნებ იმ თავზეხელაღებულმა, იარაღით მოხიბლულმა ბიჭებმა, რომლებიც კედლებში ტყვიების ჩასმით ირთობდნენ თავს, ან იქნებ კიბეებზე ჩამომსხდარმა ტელერადიოდეპარტამენტის თანამშრომლებმა, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ტელევიზიის სამხედრო პლაცდარმად გადაქცევას, ან იქნებ თქვენ, თბილისის „ნაღები საზოგადოების" წარმომადგენელნო?

**მაია ბამცემლიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „საქართველოს მუდამ ფარავდა განგება..."



**ჩვენი** დღევანდელი ნომრის სტუმარია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ბატონი **მანუჩარ ლანჩავა.**

●

**— ბატონო მანუჩარ, როგორ აფასებთ საქართველოში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას, კერძოდ, „ოპოზიციის" ქმედებებსა და ხელისუფლების ბოლოდროინდელ საქმიანობას?**

— მდგომარეობა, რა თქმა უნდა, საქართველოსა და მისი ხელისუფლებისადმი დაპირისპირებული, მტრულად განწყობილი ძალების მრავალმხრივი და კარგად ორგანიზებული შემოტევების შედეგია. ხელისუფლების პასუხი ამ შემოტევებზე ყოველთვის არ არის ადექვატური. ხელისუფლების ნაკლი მრავალი სუბიექტური და ობიექტური მიზეზებით შეიძლება აიხსნას. მინდა ხაზი გავუსვა სწორედ „ოპოზიციის" როლს ამ საქმეში. ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, პირველივე დღიდან დაწყებული, გამუდმებული მუქარის ქვეშ ჰყავდა მას ხელისუფლება. პარლამენტის უძილო ღამეები, ზეადამიანური დაძაბულობა, იარაღის მუდმივი ჟღარუნი. ოპოზიციის დესტრუქციული ქმედებებით სახელმწიფო დისციპლინის მოშლა, აი, ჯერ-ჯერობით, ოპოზიციის „დამსახურება".

ისე, ოპოზიცია როგორ არ არის საჭირო, კონსტრუქციული ოპოზიცია მყავს მხედველობაში. ჩვენს ე. წ. „ოპოზიციას" კი არ შესძლებია კონსტრუქციული როლის შესრულება. ეს თვალნათლივ გამოჩნდა უზენაესი საბჭოს სესიაზე, პრემიერ-მინისტრის ეკონომიკური კონცეფცია რომ ირჩეოდა. მაგრამ ოპოზიცია ვერც საპარლამენტო, ვერც ქუჩის, ვერა და ვერ ასრულებს იმ მისიას, რომელიც ნორმალურ, ცივილიზებულ ქვეყნებში ეკისრება მას და ვერასგზით ვერ მოიპოვებს რესპუბლიკის საზოგადოების უდიდესი ნაწილის მხარდაჭერას, სანამ იგი ცალსახად არ გაემიჯნება იმ პარტიებსა და ძალებს, რომელთა იდეოლოგია სავსებით გაკოტრდა, ისინი ხომ აშკარად იმპერიულ ინტერესებს ემსახურებიან და ცდილობენ მუშტი-კრივით მიაღწიონ დასახულ მიზნებს. ასეთ ძალებთან ყოველგვარი ურთიერთობა საპარლამენტო ოპოზიციას არა თუ აძლიერებს, არამედ მკვეთრად ასუსტებს და ფიტავს.

**— თქვენ ბრძანდებით უშუალოდ იმ ინსტიტუტის ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომელი, სადაც მოღვაწეობდა და რომელსაც, პრემიერ-მინისტრად დანიშვნამდე, უძღვებოდა ბატონი თენგიზ სიგუა, რამდენადაც ვიცი, მასთან ახლო მეგობრობაც გაკავშირებდათ, როგორ აფასებთ და რით ხსნით მის (გადადგომის შემდგომ) პოლიტიკურ ნაბიჯებს?**

— ამ საკითხზე საუბარი, ბუნებრივია, ინსტიტუტის კოლექტივის უდიდესი ნაწილისათვის და ჩემთვისაც მეტად მტკივნეულია, რამეთუ, დიდი ხნის მანძილზე მიხდებოდა ბატონ თენგიზთან ურთიერთობა. ისე, არ მომწონს ორივე მხარის ტენდენცია, პოლიტიკური მოწინააღმდეგენი ერთმანეთის პიროვნული და პროფესიული თვალსაზრისით განქიქებას რომ ეწევიან. ერთ მაგალითს მოვიტან: მიუხედავად იმისა, რომ ვერასგზით ვერ ვეთანხმები ელდარ შენგელაიას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობასა და ამ მხრივ მის პოზიციას, იგი ბრწყინვალე რეჟისორია და ჩემთვის უსაყვარლესი ფილმების ავტორი. ასევე ვუპასუხებდი თქვენს მიერ დასმულ კითხვას. ვწუხვარ, რა თქმა უნდა, რომ ყველაფერი ასე მოხდა.

**— ბატონო მანუჩარ, როგორ გესახებათ, რბილად რომ ვთქვათ, ამ, არც თუ სახარბიელო მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზები. მოგეხსენებათ, რომ საქართველოს დედაქალაქში შექმნილი დესტრუქციული ვითარებით მუდამ სარგებლობენ ჩვენდამი მტრულად განწყობილი ძალები.**

— გასაკეთებელი უამრავია. ძირითადად, რა თქმა უნდა, კანონის განუხრელად დაცვა უნდა იყოს უზრუნველყოფილი რადაც არ უნდა დაგვიჯდეს. საჭიროა გამოიყოს ერთი კონკრეტული ადგილ‹ დედაქალაქში, სადაც სხვადასხვა პარტიებსა და დაჯგუფებებს, კანონის ფარგლებში შეეძლებათ მიტინგების ჩატარება. ეს უნდა იყოს ადგილი, სადაც მიტინგის მოწყობა არ გამოიწვევს ქალაქის, ტრანსპორტის მოძრაობის პარალიზებას. ასეთ ადგილად პირადად მე მესახება რესპუბლიკის მოედანი. რაც მთავარია, საჭიროა ამოქმედდეს კანონი პრივატიზაციის შესახებ, ეს მოაგვარებს ბევრ მტკივნეულ საკითხს.

**— როგორც უშუალო თვითმხილველი, როგორ აფასებთ ა. წ. 4-5 ოქტომბრის ღამეს და გამთენიისას მომხდარ ამბებს?**

— საკვირველია, როგორ შეიძლება ამ მოვლენასთან დაკავშირებით იყოს სხვადასხვა აზრი. რისთვის მიადგა შეიარაღებული ოპოზიცია სამგზის პარლამენტის შენობას და შეტევა განახორციელა მასზე?! ვინ დაიჯერებს ამ „აქციის „მშვიდობიან" ხასიათს?!

**— თქვენის აზრით, საქართველოში არსებულ ე. წ. „ოპოზიციას" აქვს სიტყვისა და პრესის თავისუფლება?**

— ამ საკითხში მართლაც ვერ დავეთანხმებით ხელისუფლების მოქმედებას. რას ჰგავს ეს? გაზეთებს, ტელეეკრანს უთმობენ, მალე თანამდებობებსაც უბოძებენ, მერედა ვის? ვის მივეცით ხმა, ბატონ ზვიად გამსახურდიას თუ ჰანტურიას?!

განუწყვეტლად გაისმის: შევთანხმდეთ, ქართველები ვართ. ჯერ ერთი, ჩვენ მარტო ქართველები კი არა, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენიც გახლავართ. ვერ გავიგე, ვისთან უნდა შევთანხმდეთ, ვის უნდა შევუხმატკბილდეთ: ქურდებსა და ავაზაკებს?! შეიარაღებული ბანდის წევრებს?! იმათ ვინც მავანთა დავალებით ქართველი ერის წინააღმდეგ მოქმედებს?-

არა ბატონო! საჭიროა ხელისუფლებისა და კანონის სრული სიმკაცრით ამოქმედება. ხალხის ზედმიწევნით მობილიზება. დემოკრატიას ნუ აიგივებენ ანარქიასთან.

**— ამ ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ ქართველ ინტელიგენციაზე, იმაზე, რომ მისი „ნაღები" მხარს უჭერს „ოპოზიციას". თქვენ რას ფიქრობთ ამის თაობაზე?**

— აქ ნამდვილ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. ქართველი ინტელიგენციის სწორედ ნაღები და უმეტესობა ოპოზიციასთან არ დგას. უბრალოდ, როგორც ეტყობა, ხელისუფლებამაც ვერ მოიცალა მათთვის, ვერ დაამყარა სათანადო კონტაქტები. ამასაც აქვს, ალბათ, ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. ხოლო, რაც შეეხება იმ „ინტელიგენციას", რომელიც მხარს უჭერს ე. წ. „ოპოზიციას". უნდა აღინიშნოს შემდეგი: საქართველოს სრული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის პირობებში მათ ეშინიათ იმ დიპლომებისა და წოდებების დაკარგვა, რომელთაც ვერასგზით ვერ ეწყობიან თავიანთი ინტელექტით.

**— ქართველებს, ასე თუ ისე, გვახასიათებდა და, ვფიქრობ, დღესაც გვახასიათებს ოპტიმიზმი. ორიოდე სიტყვით, თქვენი პროგნოზების შესახებ.**

— როცა ვხედავ. თუ რა გააფთრებით ებრძვიან საქართველოს დამოუკიდებლობას, ცოტა არ იყოს, პესიმიზმი მეუფლება. მაგრამ თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს ქარტეხილებით აღსავსე ისტორიას, მივხვდებით, რომ ჩვენს ქვეყანას მუდამ ფარავდა განგება, აი, სწორედ ამის გახსენება მიფანტავს უმალ პესიმიზმს, ოპტიმისტური განწყობა და ერის ნათელი მერმისისადმი რწმენა მეუფლება.

---

# ქართველ ხალხს მეურვე არ სჭირდება

**საზოგადოებაში** უცნაურმა სენმა მოიკიდა ფეხი. ყველა, ვისაც რაიმე ავტორიტეტი, დამსახურება ან ღირსება გააჩნია, თავის თავს მოვალედ რაცხს განსაჯოს, გააკრიტიკოს (უფრო ხშირად კი უბრალოდ გალანძღოს). ჩვენი დღევანდელი მთავრობა და ხელისუფლება.

ყველას რატომღაც ჰგონია, რომ ყველაზე ადვილი საქმე ქვეყნის მართვაა. შორიდან ასეც ჩანს, ყველა პროფესიას სპეციალური მომზადება ან ნიჭი სჭირდება, პოლიტიკოსობისთვის კი ზვიად გამსახურდიასთან დაპირისპირება სრულიად საკმარისია. შეუძახებ, რატომ არ იწყებ რეფორმებს, რატომ არ ცვლი ძველ სტრუქტურებს, რატომ სათანადოდ არ რეაგირებ მოსკოვის „პუტჩზე"-ო, და გათავდა.... პოლიტიკოსი ხარ, თანაც გაცილებით უკეთესი პოლიტიკოსი, ვიდრე ჩვენი დღევანდელი პრეზიდენტია. შენს თავსაც პატივს სცემ, და საზოგადოებაშიც წონას იკრებ, ხუმრობა საქმეა, მთელი ერის ნებას ეწინააღმდეგები, ქართველთა 87%-ზე ჭკვიანი გამოდიხარ. წარმოიდგინეთ რა სასიამოვნო შეგრძნებაა, როცა დარწმუნებული ხარ, რომ მეტი ჭკუა და სიფხიზლე გაქვს, ვიდრე მთელ ერს...

ოპოზიციურ გაზეთებში ბევრს ხუმრობენ (ძირითადად უკბილოდ, მაგრამ ეს გემოვნების საქმეა) „პუტჩის" თაობაზე. ცდილობენ შექმნან შთაბეჭდილება, რომ არც კომუნისტებთან, არც შეიარაღებულ ძალებთან, არც სხვა რაიმე უკანონო მოქმედებასთან საქმე არ ჰქონიათ — ცუდი არაფერი უნდოდათ, უბრალოდ ერთ უვნებელ მოთხოვნას აყენებდნენ და აყენებენ — პრეზიდენტის გადაყენებას (უახლეს ვარიანტებში გადადგომას) ითხოვენ. ოპოზიციონერებს ჰგონიათ, რომ თუ ამ „მოთხოვნას" უშფოთველი სახით წარმოსთქვამენ, თანაც მოკრძალებით დაამატებენ, ეს ჩემი სუბიექტური აზრიაო, მაშინ ის დაკარგავს თავის აგრესიულ შინაარსს. ცოტა ხნის წინ ყურადღება მიიპყრო თავისი გულუბრყვილობით გასაოცარმა ფრაზამ — „ეტყობა, აუცილებელია პრეზიდენტის უფლება-მოსილებათა შეკვეცა, ზოგიერთები ამ ინსტიტუტების გაუქმებასაც მოითხოვენ. ეს პოლიტიკოსებმა გადაწყვიტონ". (გურამ გეგეშიძე — „დრონი" № 39) საიდან ეტყობა? ვინ ატყობს რაზე ატყობს?

როგორც ჩანს, მწერალმა თავის წრეში „შეატყო" ეს ამბავი. მერე პოლიტიკოსებს დაეკითხა, იმ პოლიტიკოსებს. კონგრესის არჩევნები რომ ჩაეშალათ, და მერე მეგობრულად შეთხზეს ცრუ მონაცემები. და. ვერც ერთ არჩევნებში 3%-ც ვერ მიიღეს ხმებისა. აი, ამ პოლიტიკოსებმა უნდა გადაგვიწყვიტონ მთელ ერს, გვინდა თუ არ გვინდა პრეზიდენტი. ჩვენ ვსვამთ მარტივ კითხვას — ვინ არიან ჩვენთვის უცნობი და ბატონი გურამისთვის ნაცნობი პოლიტიკოსები? რატომ უნდა დავეკითხოთ მათ და არა ხალხს? ბატონი გურამის პასუხიც ასეთივე მარტივი იქნება — იმიტომ, რომ ბატონი გურამი ენდობა პოლიტიკოსებს, მაგალითად, ბატონ თენგიზ სიგუას, და არ ენდობა ხალხს. აი ასეთ დონეზე ხდება ჩვენში, პოლიტიკური შეხედულებებისა და მოთხოვნების ფორმირება. ამიტომაც გახლავთ ჩვენი ოპოზიცია, ან მის მიმართ ნდობითა და სიმპათიით განწყობილი ინტელიგენცია უმცირესობაში. ხალხი არ ენდობა იმას, ვინც მის მიმართ უნდობლობას იჩენს, ვისაც ეშინია დასავლეთ ან აღმოსავლეთ საქართველოდან ჩამოსული ქართველი კაცის და ისეთ განგაშს სცემს ამასთან დაკავშირებით, თითქოს მონღოლები ან სელჯუკები შემოესივნენ საქართველოს დედაქალაქს.

სამარცხვინოა ეს. ოპოზიციონერთა არც ერთი გამოსვლა არ ჩაივლის იმის გარეშე, რომ ქართული სოფლის მიმართ ზიზღი არ გადმოიღვაროს. ეს ისტერიული სიძულვილი ყველა ნორმალური ადამიანისთვის მიუღებელი და გაუგებარია. საზოგადოებაში უაზრო მუსირება იმისა, რომ პრეზიდენტმა ერთმანეთს დაუპირისპირა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა. ბინძური პროვოკაცია და დემაგოგიაა. ხოლო ამ სიბინძურის საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ ამოსავალ პრინციპად მიიჩნევა მოსაზრება — ხალხს არა აქვს უნარი, თვითონ განსაჯოს რომელი გზა აირჩიოს. მას „მეურვე" სჭირდება, ისეთი როგორიც ჩვენი ოპოზიციაა. ამიტომ აცოფებს ოპოზიციას, როცა საქართველოს ყოველი კუთხიდან თბილისში ქართველები ჩამოდიან თავისი შეგინებული ღირსების დასაცავად, შელახული უფლებების აღსადგენად. ძნელია გაუსწორო თვალი შენს ერს, როცა მასზე საგანგებოდ დაბალი აზრი გვაქვს, ამიტომაც არ გსიამოვნებს მისი დანახვა.

ფსიქოლოგიურად ხალხის მიმართ ასეთი აგრესიის მიზეზი გასაგებია. თქვენს პოლიტიკაში, ბატონო ოპოზიციონერებო, ეროვნული ინტერესი არ მონაწილეობს და სხვადასხვა მოტივით პირად ანგარიშს ასწორებთ ზვიად გამსახურდიასთან, ამიტომ ვერც იგებთ და ვერც იღებთ მიზეზს იმისას, თუ რატომ ერევა ამდენი ხალხი ამ პროცესებში და რატომ ავლენს ასეთ სისხლხორცეულ დაინტერესებას თქვენს „კერძო" საქმეში. ხალხი ხელს გიშლით. ის „უაზროდ ეჩხირება" იქ სადაც მისი მონაწილეობა არ იგულისხმება — რა შუაშია ხალხი, თქვენ ხომ მასთან კი არა, ზვიად გამსახურდიასთან გაქვთ საქმე. აი ნამდვილი მიზეზი, ბატონებო, თქვენი გაღიზიანებისა.

ყველა თქვენი უსიამოვნების სათავე ამპარტავნება გახლავთ, მიუტევებელი ცოდვა. თქვენ არ გინდათ ანგარიში გაუწიოთ ისტორიას, ერს. პოლიტიკურ რეალობას, იმიტომ, რომ მიგაჩნიათ — თქვენი მოსაზრებანი და გადაწყვეტილებანი უეჭველია და გძულთ ყველა, ვინც წინ გეღობებათ, ამ შემთხვევაში ხალხი. რომელიც ბედავს არ ენდოს თქვენს პირად შეუცდომელ გამოცდილებას; ეჭვის ქვეშ დააყენოს თქვენი სიბრძნე; სხვის უპირატესობას ცნობს კონკრეტულ სფეროში, მაგალითად პოლიტიკაში.

ხოლო რამდენჯერაც არ უნდა მოიყვანოთ მაგალითი ისტორიიდან იმის შესახებ, რომ უმრავლესობის არჩევანი ყოველთვის მცდარი იყო, ბოლოსდაბოლოს ერთადერთ კონკრეტულ შემთხვევამდე დადიხართ — გერმანიაში ფაშიზმის გამარჯვება ხალხის ნების თანახმად მოხდა. რა ვქნათ, რახან ერთხელ, ერთმა კონკრეტულმა ხალხმა დაუშვა შეცდომა, ამიტომ აღარასოდეს აღარ ვენდოთ, არც ერთ ხალხს? ეს არის თქვენი ლოგიკა?

კომუნისტებთან, ანუ ბოლშევიკებთან მიმართებაში კი თვითონაც კარგად იცით, უბრალოდ ივიწყებთ ხოლმე, რომ ხალხი არაფერ შუაში იყო. ბოლშევიკები (თქვენსავით) უმცირესობაში აღმოჩნდნენ — როგორც პოლიტიკურად, ისე იდეოლოგიურად. ხალხს არც საქართველოში და, სხვათაშორის, არც რუსეთში, მათთვის მხარი არ დაუჭერია. ამიტომ იყო, რომ ,თქვენსავით) ისინიც შეიარაღდნენ და ნებით რომ ვერ დაითანხმეს ხალხი ეცნოთ მათი ავტორიტეტი (თქვენსავით), ტერორს მიჰყვეს ხელი.

ღმერთმა არ ქნას მეორედ აგრესიული უმცირესობის ძალაუფლების გამარჯვება საქართველოში. თვითონ თქვენთვისაც ეს უმძიმეს შედეგებს მოიტანს. გახსოვთ ალბათ, თვით ერთმანეთის მიმართ როგორ დაუნდობლობას იჩენდნენ კომუნისტები. უფრო მშვიდობიანი გზები ვეძებოთ პოლიტიკური ავტორიტეტის ასამაღლებლად. ბატონო ოპოზიციონერებო, გაიგეთ ერთი უბრალო რამ — სანამ თქვენი პოლიტიკა თქვენს საკუთარ ინტერესებს წარმოადგენს და არა ერის ინტერესებს, მანამდე არც ერის სამდურავი დაილევა თქვენგან, არც მომხრე ეყოლება თქვენს მოძრაობას. ნუ დავაყენებთ საქართველოს მომავალს კითხვის ნიშნის ქვეშ, ნუ ვიზამთ იმას, რომ ერთ პიროვნებასთან ბრძოლას მთელი საქართველო გადავაყოლოთ. განათლებულ საზოგადოებას არ ეგების ქვენა ინსტინქტებს ასე ბრმად აყოლა. ამგვარი მოქმედება ხიბლს არავის მატებს. მითუმეტეს პოლიტიკოსებს, რომელთაც ჯერ კიდევ წინა აქვთ სერიოზული პოლიტიკური ავტორიტეტის მოპოვება და დამსახურება.

**თამარ ებრალიძე**

---

# გამოხმაურება

**ვეთანხმებით** 1991 წ. 10 ოქტომბრის გაზეთ „თავისუფალ საქართველოში" გამოქვეყნებულ სტატიას — „პროტესტს ვაცხადებთ" და ვუერთებთ ჩვენს ხმას პრეზიდენტისა და პარლამენტის მხარდამჭერ ინტელიგენციას:

**სოფ. მარტყოფის საავადმყოფოს ექიმები**

მესხი ელენე, ეპიტაშვილი ფარნაოზ, ამაშუკელი ირინე, გულბანი თამარ, ლეკიშვილი თამარ, ყარსელაშვილი გრიგოლ, ბერძულიშვილი ნანა.

**სოფ. მარტყოფის № 1 და № 2 საშუალო სკოლის პედაგოგები:**

ყველაშვილი სალომე, ცქიფურიშვილი ლილი, შოშიაშვილი ცინარი, შოშიაშვილი ლენა, სალთხუციშვილი გიული, ზითანიშვილი ნინო, ჯანიაშვილი გულნაზი, კობიაშვილი ლია, პასიკაშვილი ქეთევან, ყურაშვილი ზინა, მღვდელაძე შალვა, ქავთარაძე თამარ, ბახილაშვილი ნინო, ფურცელაძე ეთერ, ეპიტაშვილი ნაზი, გუგუნაშვილი მერი, მანჯავარაშვილი ნათელა, ივანაშვილი დათო, ედიკაშვილი ზაზა. ჭერენაშვილი როლანდ, ახალკაციშვილი მანანა, შინჯიკაშვილი ეთერ, მესხი აგრაფინა. კახაბრიშვილი მანანა, მათიაშვილი მაია, დალაქიშვილი მაყვალა, ხაჩიროვა ბელა, ზინდრიშვილი ელისაბედ, კობიაშვილი თამარ, ელჩიევი მარიკა, ლეკიშვილი გიორგი, სამჭკუაშვილი ეკატერინე, კუბათაშვილი ნელი, გაიხარაშვილი მარგო, კანდელაკი გულო, ქარუმიძე, გულიაშვილი ნანა, გოგიძე მარიამ. ჯანჯიბუხაშვილი ესმა, ახალკაციშვილი ციური, შპეტიშვილი ნინო, შოშიაშვილი მარინე, დარაშვილი მარადი, ბოქველიშვილი ციალა, ბანეთაშვილი, ბედიანაშვილი, გუგუნაშვილი თამარ, ჩაფიძე ნანა, ხტეფანაშვილი, კახურაშვილი, ჩაჩავა კლარა, აბრამიშვილი.

**№115 პროფსასწავლებლის პედაგოგები:**

ყურფარაშვილი როინ, ბერაია მერაბ, კოპალეიშვილი რუსუდან, დილებაშვილი მარიკა, გაიხარაშვილი ლენა, კანდელაკი ეთერ, შოშიაშვილი ნანა, აფციაური თინა, კაპანაძე ნოდარ, გამყრელიძე პავლე, ხაათაშვილი იზოლდა, დილებაშვილი ეთერ, ექიზაშვილი მარინა, ჩინაშვილი ქეთევან, ტაბატაძე ელზა, დევდარიანი-გაიოზ, ყურფარაშვილი მანანა.

---

**შიდა ქართლში დაღვრილი სისხლი სრულიად საქართველოს ტკივილია.**

**თქვენი ხსოვნა საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა ხსოვნას შეუერთდა.**

**მშვიდად განისვენეთ თქვენი სისხლით მორწყულ მიწაში, უფალს თქვენს სულებს ჩვენი სიყვარული და სინანული შეავედრებს.**

**„თავისუფალი საქართველო".**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამართლიანობის აღდგენისათვის ანუ რა ხდება ჭიათურაში

**ა. წ. 5-6 სექტემბერს** ჭიათურის პრეფექტურის საქმიანობის, რეგიონში არსებული ვითარების შესასწავლად ჭიათურაში იმყოფებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუროს იმერეთის ზონის კურატორი ბ-ნი ა. შალამბერიძე და ამ სტრიქონების ავტორი. შეხვედრებმა, ფაქტებისა და დოკუმენტების გაცნობამ საშუალება მოგვცა ჭიათურის ზონის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მოთხოვნების შეფასებისა. უმთავრესი მოთხოვნა გახლდათ პრეფექტისა და პრეფექტურის სხვა ხელმძღვანელ მუშაკთა შეცვლა პრინციპული და ყოველმხრივ მიუკერძოებელი პიროვნებებით, რომლებისთვისაც ძვირფასი იქნება მოსახლეობის ინტერესები და კანონის უზენაესობა.

5 სექტემბერს შედგა შეხვედრები ჯერ აკ. წერეთლის სახ. მაღაროთა სამმართველოში, ხოლო შემდეგ ჭიათურის კულტურის სასახლეში. ორივე შეხვედრაზე აშკარად გამოიკვეთა მოსახლეობის გულისწყრომა პრეფექტისა და რეგიონის სხვა ხელმძღვანელთა საქმიანობის გამო.

6 სექტემბერს შედგა შეხვედრა პრეფექტურის, ზონალური და ქალაქის საკრებულოთა ხელმძღვანელებთან, სოფლების გამგებლებთან. თითოეული ორატორის გამოსვლას მკვეთრად აჩნდა წინასწარ მომზადებული სპექტაკლის — კომუნისტურ-ბოლშევიკური მმართველობისდროინდელი უშნო გადმონაშთის დამღა. „სულით ავადმყოფად“ იქნა შერაცხული მე-2 ჯგუფის ინვალიდი, „ჭიათურმანგანუმის“ სისტემაში 25 წლის მუშაობის სტაჟის მქონე ქ-ნი ც. კუტალაძე, რომელიც გახლავთ უზენაეს საბჭოში კოლექტიური საპროტესტო განცხადების (311 ხელმოწერა) გაგზავნის ინიციატორი. უვიც ბრბოდ მონათლეს ის მშრომელები, რომლებთანაც წინა დღეს გვქონდა შეხვედრები.

იმავე დღეს კულტურის სასახლეში ჩატარდა ხალხმრავალ წარმომადგენლობითი შეკრება, რომელზეც, მიუხედავად პრეფექტის, ნ. აბჟანდაძის მცდელობისა, დაეწესებინა დიქტატი, ინტელიგენციის სამმა წარმომადგენელმა (გამომსვლელი კი 5 იყო): რგანის კომპრესორის ოპერატორმა ქ-ნმა ნ. ბუხრაშვილმა, ინჟინერ-მექანიკოსმა ბ-ნმა ი. სამხარაძემ და ქალაქის მე-9 საშ. სკოლის პედაგოგმა ბ-ნმა ზ. მოდებაძემ აშკარად გამოხატეს თავისი ნეგატიური დამოკიდებულება ჭიათურის ზონის ხელმძღვანელობის საქმიანობისადმი, მოსახლეობის საერთო განწყობილების დასტური იყო დარბაზის ერთსულოვანი, დადებითი რეაქცია მათ გამოსვლებზე.

ზემოხსენებულ პიროვნებათა გარდა, მოსახლეობასთან სამივე შეხვედრაზე თავისი პირუთვნელი, პრინციპული პოზიცია გამოხატეს „ჭიათურმანგანუმის“ მთავარი საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარემ ბ-ნმა თ. ასანიძემ, ქ-ნმა ც. კუტალაძემ, მერევის საშ. სკოლის პედაგოგმა ბ-ნმა ე. ცუცქირიძემ, აკ. წერეთლის სახ. მაღაროთა სამმართველოს მუშაკებმა ბ. აბაშიძემ, გ. ცერცვაძემ, თ. კენჭოშვილმა, პედაგოგმა ქ-ნმა ზ. გველესიანმა, დარკვეთის საშ. სკოლის პედაგოგმა ქ-ნმა გ. კაპანაძემ, ჭიათურის კულტურის სასახლის დირექტორმა ბ-ნმა ზ. უთალიშვილმა და სხვა გამომსვლელებმა.

როგორც მოსახლეობის ჩვენებები, ისე რეალური ვითარების ანალიზი ცხადყოფს, რომ ჭიათურის პრეფექტი ბ-ნი ნ. აბჟანდაძე მფარველობს იმ კორუმპირებულ ელემენტებს, ყოფილ პარტიულ და საბჭოთა ფუნქციონერებს, რომლებმაც წლების მანძილზე მიწასთან გაასწორეს ჭიათურის ზონაში თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი დარგი. მოსახლეობისავე ჩვენებით ამას აქვს გარკვეული საფუძველი, რამეთუ ნ. აბჟანდაძე 10 წლის განმავლობაში კომკავშირული და პარტიული ფუნქციონერი გახლდათ: სხვადასხვა დროს იგი ასრულებდა „კომკავშირის საჩხერის რაიკომის მეორე მდივნისა და კომპარტიის რაიკომის განყოფილების გამგის მოვალეობებს.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ნ. აბჟანდაძე რეგიონის ხელმძღვანელად დაინიშნა მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ, რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის სავსებით მცდარი ინფორმაციის მიწოდების გზით.

„უნდა ითქვას, რომ ქალაქის პრეფექტურის წარმომადგენლები ყოველნაირად უშლიდნენ ხელს ა. შალამბერიძის მოსახლეობასთან შეხვედრას.

...შეხვედრა მაინც შედგა. გვინდოდა მოგვეწყო პრეზიდენტის მხარდამჭერი მიტინგიც... მაგრამ ზემოაღნიშნულმა „ძალებმა“ ხელი შეგვიშალეს.

12 სექტემბერს გაიმართა ქალაქის საკრებულოს პირველი მოწვევის მეოთხე სესია, სადაც სხვა საკითხებთან ერთად მიღებული იქნა პრეზიდენტისა და საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის მხარდამჭერი მიმართვა, რომელზეც ნ. ჰუმბურიძემ დემონსტრაციულად არ მოაწერა ხელი.

აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ 7 სექტემბერს ქალაქში ე. წ. „ეროვნული კონგრესის“ ძალებმა ჩაატარეს მიტინგი (შინაარსი, გასაგებია, როგორიც იქნებოდა). ქალაქის „ხელმძღვანელობას“ მისთვის ხელი არ შეუშლია.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ პრეფექტმა ნ. ჰუმბურიძე კანონის დარღვევით გაიყვანა ქალაქის საკრებულოს გამგებლად. მართლაც, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების სტრუქტურისა და კომპეტენციის შესახებ კანონის (იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 18. V 1991 წ.) 24-ე მუხლი გვაუწყებს, რომ რესპუბლიკური დაქვემდებარების იმ ქალაქებში, რომლებსაც არ გააჩნია რაიონული დაყოფა, გამგეობა და გამგებელი არ აირჩევა.

ჭიათურის პრეფექტის პირველი მოადგილე — სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის ზონალური საწარმოო გაერთიანების უფროსი ბ-ნი ილია (ილო) ლაბაძე, ყოფილი პარტიული და საბჭ. ფუნქციონერი, წლების მანძილზე საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე — აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე; კაცი, რომელმაც მიწასთან გაასწორა რეგიონის სოფლისა და ტყის მეურნეობა. მიკერძოება რომ არ დაგვწამონ, მოვიყვანთ ფაქტებსა და დოკუმენტებს.

1985–1986 წლებში სვერის საკრებულოს სოფლებში, სვერსა და თვალუეთში, „პატივცემულ“ ი. ლაბაძის აქტიური მხარდაჭერით გაიჩეხა რამდენიმე ათეული ჰექტარი ახალშენი ვაზი, რაზეც არ ყოფილა მინისტრთა საბჭოს არავითარი განკარგულება. ასევე უკანონოდ და მიწათსარგებლობა-მიწათმოწყობის წესების უხეში დარღვევით ეს ნავენახარი მიწები საკარმიდამოებად იქნა გაცემული. ყოველივე ამას ადასტურებს მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის რესპუბლიკური მთავარი სამმართველოს მიერ 1991 წ. 30 აგვისტოს გაცემული № 2-854 და № 2-უ-2/1 დოკუმენტები, სვერის საკრებულოს მცხოვრებთა წერილობითი ჩვენება (ა. წ. 27 აგვისტო).

იმავე ლაბაძის სრული ლოიალობის მეოხებით წლების მანძილზე იჩეხებოდა წაბლისა და იმერული მუხის „საქართველოს წითელ წიგნში“ შეტანილი უნიკალური ხეები. მარტო უკანასკნელ ხანს გამოვლინდა გასული შემოდგომის შემდგომ მოჭრილი 130 კუბომეტრი წაბლი და რამდენიმე ათეული ძირი იმერული მუხა. ხსენებული პიროვნებანი ათი წლის მანძილზე ამუშავებდნენ უკანონო, გაუფორმებელ, ცირკულარულდანადგარიან სახერხს, რომელიც დალუქულ იქნა ა. წ. აგვისტოში (ყოველივე ზემოთქმულზე შედგენილია აქტები ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტროს, მწვანეთა მოძრაობისა და ბუნების დაცვის ადგ. სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად. და ამისა, არსებობს მთელი რიგი წერილობითი ჩვენებებისა).

ზემოხსენებულ ფაქტებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით პრეზიდენტის აპარატის ადგ. მმართველობის ბიუროს, გაზ. „თავისუფალი საქართველოს“ რედაქციის, მწვანეთა მოძრაობის, ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტროს, მიწათსარგებლობის მთ. სამმართველოს და სვერის საკრებულოს მცხოვრებთა ჯგუფის მიერ საქმე გადაცემულია საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურაში. საქმეს იძიებს ბუნების დაცვის რესპუბლიკური პროკურატურა.

სახელმწიფო სტატისტიკის ჭიათურის საქალაქო განყოფილების მიერ ბოლო ოთხი წლის მონაცემების შესწავლის საფუძველზე დადგენილია, რომ ჭიათურის ზონის საზ. მეურნეობებში სას-სამ. პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოზე მიყიდვის მხრივ სისტემატური ჩავარდნებია 17 პუნქტიდან 13-ში, რაც დასტურდება ამ განყოფილების უფროსის ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული გრაფიკით.

1990 წლის ივლისში საქ. მინისტრთა საბჭოში ჭიათურის აგრომრეწვის თავმჯდომარის ი. ლაბაძის შუამდგომლობით შევიდა მასალები ჭიათურის ზონის მანდაეთის მეცხოველეობის მეურნეობიდან „ცენტრმეტალურგრემონტის“ ზესტაფონის სპეციალიზებული სამმართველოს დამხმარე მეურნეობის გასაფართოებლად 953 ჰექტარი მიწების (მათ შორის სახნავი — 155,30 ჰექტარი, ტყე — 455,60 ჰექტარი და ა. შ.) გადაცემის შესახებ. ამ შემთხვევაში გარკვეული წინდაუხედაობა გამოიჩინეს „საქმთავარმიწათსარგებლობამ“ და მინისტრთა საბჭოს მრეწველობის განყოფილებამ, რომლებმაც პრეზიდიუმზე გაიტანეს ეს საკითხი. საკითხი ორგზის ბ. მახარაშვილის ვიზით გავიდა მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებზე: 1990 წლის 14 აგვისტოს და 8 ნოემბერს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამავე საკითხზე დადგენილება მიიღო ჭიათურის საქალაქო საბჭოს ყოფ. აღმასკომმა (1989 წლის 15 დეკემბრის № 342/10 დადგენილება).

საკითხავია — რისთვის გამოიდო ესოდენ თავი ჭიათურის აგრომრეწვის ხელმძღვანელობამ ამ საკითხის დადებითად გადასაჭრელად?!

ის პიროვნება, რომელიც ხელს უწყობდა რეგიონის მოსახლეობის წინაშე ამ დანაშაულებრივ ქმედებას, ჭიათურის საქალაქო საბჭოს ყოფ. აღმასკომის ყოფ. თავმჯდომარე ბ-ნი ვ. მახათაძე დღეს პრეფექტის მოადგილეა საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა დარგში!

ჭიათურის ზონალური ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორია ბ-ნი რ. მახარაშვილი, რომელიც სერიოზული დარღვევებისათვის საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრის ბ-ნ ა. ჩხეიძის ბრძანებით განთავისუფლებულია თანამდებობიდან. მიუხედავად ამისა, პრეფექტმა კატეგორიული უარი განაცხადა მის გაშვებაზე.

უმძიმეს შთაბეჭდილებას ტოვებს ჭიათურის ყოვლად უსახო პრესა, კერძოდ კი გაზეთები „ჭიათურა“ და „სამთოელი“. დარგის ერთ-ერთი ხელმძღვანელია ქ-ნი ლ. ბიწაძე, კპ ჭიათურის ქალაქკომის ყოფ. მდივანი, თავისი ანტიდემოკრატიული და ანტიეროვნული მოღვაწეობით ცნობილი პიროვნება.

ჭიათურის პრეფექტურის სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების განყოფილების უფროსია ასევე ყოფ. ფუნქციონერი, წლების მანძილზე საქალაქო საბჭოს აღმასკომის განყოფილების გამგე, სკკპ წევრი ბ-ნი ჯ. ნოზაძე. სწორედ ბატონი ჯამბული ე. წ. „ეროვნული კონგრესის“ რუპორის გაზ. „დრონი“-ს ა. წ. 30 აგვისტოს ნომერში (გვ. 10) აღნიშნავს:

„მივედით იქამდე, რომ კომუნისტური ერთპარტიულობა შევცვალეთ სხვა ერთპარტიულობით, რასაც კარგი შედეგი არც მმართველი [illegible] „შეგვეძლო [illegible] სამშრობა“. იქნება აგვეწონა ტაქტიკური მოსაზრებით სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის ავ-კარგი“. ავტორი ამას საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის ხსნის ერთადერთ გზად და გამოსავლად მიიჩნევს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ჭიათურის პროკურორის ბ-ნ დ. შველიძის საქმიანობა. იგი აშკარად ტენდენციურია და ლოიალური პრეფექტთან და სხვა ხელმძღვანელებთან მიმართებით, რაც ვერასგზით ვერ უწყობს ხელს რეგიონში სამართლიანობის დამკვიდრებას. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

პრეფექტურაში შეხვედრაზე მან (პროკურორს მხარს უმშვენებდა შ/ს განყ-ბის უფროსი ბ. შეყილაძე) ამ სტრიქონების ავტორს ყალბი დოკუმენტით სარგებლობა დასწამა და მას ცრუ ჟურნალისტი უწოდა. იმავე დღეს პროკურორს წერილობით განვუცხადე და კვლავ ვიმეორებ, რომ ჩემს პასუხს მათს ამგვარ ქმედებაზე გამოვაქვეყნებ „თავისუფალ საქართველოში“.

მოსახლეობის ერთპიროვნული ჩვენებით, ჭიათურის ზონაში ადგილი აქვს დაზარალებულთათვის განკუთვნილი მასალებისა და პროდუქტების, მედიკამენტების არადანიშნულებისამებრ გამოყენებას. რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებში სისტემატურად გადის დიდი რაოდენობით ე. წ. „საყრდენი მასალა“ (მაღაროთა მშენებლობისათვის აუცილებელი ხის მორები), რაც თითქმის 70 მილიონი მანეთის სახით ვალად დააწვა მაღაროების მშრომელებს. კანონის დარღვევით, ყოველგვარი კონტროლის გარეშე ქალაქში მოქმედებს 150-ზე მეტი კოოპერატივი, რომლებიც მოსახლეობის უსინდისოდ ყვლეფის წყაროდ არის ქცეული. პრეფექტმა ერთ შეხვედრაზე ბრძანა: „ვაჭარს ვაჭრობა როგორ დავუშალოო“. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!

დიდი რაოდენობით პროდუქციის დატაცებას, დიდძალი არასტანდარტული და ყოვლად უვარგისი პროდუქციის გამოშვებას, ქრთამის აღების შემთხვევებს, მოზრდილი თანხების უკანონოდ გაცემას აქვს ადგილი ჭიათურის რძის ქარხანაში (დირექტორი მ. აბესაძე).

1990 წლის 25 ივნისს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს სახელმწიფო ინსპექციის მიერ ჩატარებული რევიზიის შედეგად დადასტურდა, რომ პროდუქცია ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას, ადგილი აქვს ნორმატიული წესების უხეშ დარღვევებს. რძესა და რძის ნაწარმს არც ერთ ობიექტზე არ ახლდა საწარმოო მარკირება.

ქარხანაში არსებულმა აუტანელმა მდგომარეობამ მისი საამქროს უფროსი ბ-ნი გ. მოდებაძე აიძულა განცხადებით მიემართა რესპუბლიკის პროკურატურისათვის, საიდანაც 1990 წლის 24 აგვისტოს (№ 30-29-90) მიღებულ იქნა პასუხი. შემოწმებამ ამჯერადაც დაადგინა მოზრდილი რაოდენობით თანხების უკანონოდ გაცემის ფაქტი, დიდი რაოდენობით არასტანდარტული პროდუქციის გამოშვება, რის საფუძველზეც ჭიათურის პროკურატურას (დ. შველიძე იმხანად პროკურორის მოადგილე და მარჯვენა ხელი გახლდათ) დაევალა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ საკითხის განხილვა.

1991 წლის 27 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობის კომისიის შეკითხვის პასუხად (№ 30-29/91) რესპუბლიკის პროკურატურა იუწყებოდა, რომ ჭიათურის პროკურატურამ არ დააყენა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ საკითხი, რის გამოც მას ხელახლა დაევალა ამ საკითხის განხილვა. მაგრამ, ამაოდ.

ა. წ. ივნისში ჭიათურას ჰუმანიტარული დახმარების მიზნით (ე. ი. დაზარალებული მოსახლეობისათვის უფასოდ დასარიგებლად) ქუთაისიდან გადაეგზავნა 2560 ტომარა (2 ვაგონი) ფქვილი, რასაც ადასტურებს ქუთაისის პურის მომცემი საწარმოს დირექტორის წერილი (№ 01/636). პრეფექტის მითითებით ეს პროდუქცია კომერციულ ფასებში გასაყიდად გადაეცა მაღაზიებს, რასაც ადასტურებენ ზონალური საკრებულოს მდივანი ბ-ნი ჯ. ხარაიშვილი და პრეფექტურის კანცელარიის გამგე ბ-ნი. ვ. დეკანოიძე.

1991 წლის 12 აპრილს (წერილი № 121) სახელმწ. სტატისტიკის საქალაქო განყოფილების უფროსმა ქ-ნმა მ. ჰანკვეტაძემ 72 ფურცლისაგან შემდგარი დანართითურთ ჭიათურის პროკურატურას, პირადად დ. შველიძეს გადასცა განცხადება ზოდის კოლმეურნეობის სამეურნეო საქმიანობის შემოწმებისას გამოვლენილი უხეში დარღვევებისა და უკანონო მიწერების თაობაზე, რის პასუხადაც ა. წ. 5 ივნისს (№ 1-32) დ. შველიძემ სტატისტიკის განყოფილებას აუწყა: „გიბრუნებთ მასალებს სოფელ ზოდის კოლმეურნეობის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში გამოვლენილ დარღვევების შესახებ, როგორც არასრულყოფილს“.

ა. წ. 10 ივნისს ქ-ნმა მ. ჰანკვეტაძემ შემდეგი შინაარსის მიმართვით (№ 151) უპასუხა დ. შველიძეს:

„...უსაფუძვლო შენიშვნებისა და კრიტიკის მოფიქრება-ფიქსირებას თავიდან აიცილებდით, თუკი ზოდის კოლმეურნეობის შესახებ მასალების პროკურატურაში მოხვედრის ისტორიას მაინც შეისწავლიდით ორი თვის მანძილზე კანონიერად და სამართლიანად* (რომ არაფერი ვთქვათ მოკვლეული მასალებით თქვენს დაინტერესებაზე).

რაც შეეხება სტატისტიკური ორგანოს მიერ მიწერების გამოვლენის უფლებას, იგი მინიჭებული აქვს იმავე ორგანოს დებულებით თქვენი უხერხულობის თავიდან აცილებისათვის, კარგი იქნება თუკი დაინტერესდებით მისი გაცნობით“. მაგრამ, ბ-ნ პროკურორს არ აწუხებს არავითარი უხერხულობა, სოფ. ზოდის „თავკაცი“ კი პრეფექტურაში დადგმულ სპექტაკლებზე ქებადიდებას ასხამს პრეფექტს და ძმათა მისთა.

გაზ. „სამთოელის“ („ჭიათურმანგანუმის“ გაზეთი) ა. წ. 13 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა მისი რედაქტორის შ. ბიბილეიშვილის სტატია „სპექტაკლი“, რომელიც ურეპეტიციოდ დაიდგა, დამთავრდა... ანუ ვინ ამღვრევს წყალს ჭიათურაში?!“. ეს მრისხანე და გრძელი სათაურის მქონე პასკვილი დემაგოგიის შესანიშნავ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. წერილში საეჭვო პიროვნებებად ვართ მონათლულნი ისინი, ვინც ბ-ნ ა. შალამბერიძესთან ერთად ვესწრებოდით შეხვედრებს. პუბლიკაციაში პრეფექტის მაქებრად დასახელებულნი არიან დღემდე კომუნისტი ფუნქციონერები. ამასთან, ქ-ნი შორენა აშკარა სპეკულაციას ეწევა საქართველოში არსებული პოლიტიკური სიტუაციით და „5-6 სექტემბრის აქციების“ ორგანიზატორებსა და მონაწილეებს დესტაბილიზაციის გამღრმავებლებად, ოპოზიციონერთა წისქვილზე წყლისდამსხმელებად გვაცხადებს. ავტორი ბ-ნ ა. შალამბერიძეს მიაწერს სიტყვებს, რომელთა ავტორი თავად არის და არა ბატონი ალეკო.

გარდა ამისა, გაზ. „ჭიათურის“ ა. წ. 14 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა ბ-ნ ნ. აბჟანდაძის მიმართვა „ძვირფასო თანამოქალაქენო“, რომელშიც ვკითხულობთ: „გახშირდა დედაქალაქიდან თვითმარქვია პოლიტიკოსების და „ერის შვილების“ ვიზიტები, რომლებიც კიდევ უფრო ძაბავენ მდგომარეობას და გარდამავალი პერიოდის ის სიძნელეები, რასაც რესპუბლიკა და მათ შორის (?!) ჩვენი ქალაქიც განიცდის, ცდილობენ ადგილობრივ ხელისუფლებას გადააბრალონ“. ვფიქრობთ, არც ეს სიტყვები საჭიროებს კომენტარს.

მაშინ, როდესაც ჭიათურაში ორი კვირაა გრძელდება „ოპოზიციონერთა“ აქცია, ჭიათურის ზონის პრეფექტურამ თბილისისკენ არ გამოუშვა პრეზიდენტის მხარდამჭერთა კოლონა.

ამდენად, ყოველივე ზემოთქმული თვალნათლივ მეტყველებს იმ აშკარად არაჯანსაღ, კრიმინოგენურ სიტუაციაზე, რომელიც გამეფებულია ჭიათურის ზონაში, თვალნათლივ მიუთითებს რეგიონის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მოთხოვნის სამართლიანობაზე.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუროს თანამშრომელი**

ლევან ურუშაძე.

ქართული პოლიტიკური აზრის ისტორიიდან

# რუსული „დემოკრატიის“ შესახებ



ბოლშევიკებმა შეიმუშავეს თავისებურად გაგებულ მარქსისტულ მოძღვრებაზე დამყარებული გეგმა, რომელშიაც შეუზავეს რუსი ერის ბევრი თვისება და აგრეთვე ძველი რუსეთის მმართველობის წესები და ტრადიციები, და მოინდომეს დიქტატურით, უმნიშვნელო უმცირესობის ბატონობით ქვეყნის „გაბედნიერება“, მიუხედავად პოლიტიკურ, ეკონომიურ, გონებრივ ვითარებისა. მათი იარაღია ძალდატანება, ტერორი, სრული უმორალობა, მოპირდაპირის ფიზიკური მოსპობა, განადგურება ყოველი საშუალებით. უკუაგდეს პატივისცემა ადამიანის პიროვნების, სიცოცხლის, თავისუფლების. მათი დამახასიათებელია განსაკუთრებით პიროვნების უსაზღვრო სიძულვილი. ეზიზღებათ საკუთარი მომხრეებიც კი, რომელთაც სთვლიან ზარბაზნის უბრალო „ხორცად“. მით უფრო დაუნდობელნი არიან მოწინააღმდეგეთა მიმართ, რომელთაც ებრძვიან ძალით, წამებით, ღალატით, ვერაგობით, მოსყიდვით და მსგავს ხერხებით. მათ გააშიშვლეს და გაძარცვეს ადამიანი, თანდათან ჩამოაცალეს ბუნებრივი თვისებები — სიყვარული, ნათესაობა, მეგობრობა, პირდაპირობა, პატიოსნება, სიმართლე, ყოველი სულიერი სიფაქიზე, სიამოვნებაც და სიხარულიც, და როცა ხელთ შერჩათ მარტო ცარიელი ჩონჩხი, მასაც ჰკრეს წიხლი და უფსკრულში გადააგდეს. დღეს რუსეთში ადამიანი აღარაა, მკვდარია და მის საჭიროებას არც თუ ვინმე ჰგრძნობს. არაა პიროვნება, არც საკუთარი სახელია, არის მხოლოდ ნომერი, რომელმაც არც რა უნდა იფიქროს, არცა რა უნდა იგრძნოს (სიმშილიც!) და როგორც ტიკინი უნდა ამოძრავდეს სხვისი ხელით, სხვისი ნებით. მთელი საბჭოთა კავშირი უდაბნოა უკაცური, რომლის სათავეში დგას რამდენიმე ვითომდა ადამიანი ან ერთი, და თუ იქ რამე მოძრაობაა, ეს მექანიკურია — იქ გული აღარ ფეთქს, არც ფრენაა თავისუფალი სულის, გონების.

შეიძლება თავში ბოლშევიკებს ასულდგმულებდა რეალური იდეა, დღეს ეს არაა, რადგან მათი მუშაობის მეთოდმა მოჰკლა ეს იდეა, ვსთქვათ, კიდევ შერჩათ ცოცხალი იდეა, ხოლო ვისთვის და რისთვისაა მაქნისი? როცა აღარ არიან ადამიანები, აქვს რაიმე ფასი და მნიშვნელობა ამა თუ იმ მექანიკურტექნიკურ გაუმჯობესებებს, გიგანტურ აღმშენებლობას და გაუგონარ მიღწევებს, რომელზედაც ამდენს ყვირიან ბოლშევიკები? ყველაფრის საზომი — სიმცირისა და სიდიდის — ადამიანია, და თუ ადამიანი არაა, არც რა არის, ყოველივე ფუჭია და უსარგებლო! რომ შესაძლებელი იყოს ფიზიკურად და მორალურად ბოლშევიზმის დატოვება, რათა ბუნებრივად, თავისთავად, გარეშე ძალთა ჩაურევლად, [illegible] ვის ბოლოს, უეჭველად [illegible] იქნებოდა უსაშინელესი [illegible] და ყოველივე [illegible] დაკარგვა თვით ბოლშევიკებში, გაქცევა სიცოცხლისაგან, ძებნა სიკვდილის, თვით-მოსპობის.

და აი სწორედ ეს მორალური დაშლა, ეს მორალური კრიზისი არის ყველაზე უფრო საშინელი. შეიძლება ითქვას: არ არის კრიზისები. არის მხოლოდ ერთი კრიზისი — მორალური. ეს კრიზისი არ ეხება ცალკე მოვლენებს, მოვლენათა დარგებს, დისციპლინებს, სპეციალურ საკითხებს, რაიმე ნაწილს. არა, ჩვენს წინაშე დგას კითხვა უაღრესად არსებითი — რა არის საფუძველი ცხოვრების, მოქმედების, საზოგადოების, განვითარების? არის თუ არა ადამიანი თვითმიზანი ცხოვრების, თუ უკანასკნელის დანიშნულებას განსაზღვრავს სულ სხვა, გარეშე მდგარი მიზანი? თუ ადამიანია თვითმიზანი ცხოვრების, თავისუფლება არის თუ არა აუცილებელი პირობა მოქმედების და განვითარების?

**სამსონ ფირცხალავა**

# საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკონი

## მიუმხრობლობის მოძრაობა

საქართველო გზაჯვარედინზეა. სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ექსპერიმენტი ჰეფი ენდით ვერ დამთავრდა და ამან ახალი ალტერნატივის წინაშე დაგვაყენა. საით წავიდეთ. მარჯვნივ თუ მარცხნივ? დასავლური სისტემა, ალბათ, „შეიწოვს“ აღმოსავლეთს (ე. წ. სოციალიზმის სამყაროს). მათკენ სავალი გზა ეს პროდასავლური ორიენტაციაა. კიდევ რა გზებია? ისტორიულ გამოცდილებას თუ მოვუხმობთ, ყოფილი კოლონიებისა და ნახევრადკოლონიური ქვეყნების შემდგომი განვითარების გენერალური ხაზი მიუმხრობლობის დოქტრინა იყო. გზაჯვარედინზე ერთ-ერთი ისარი მიუმხრობლობას უჩვენებს.

მიუმხრობლობა „მესამე გზაა“. ამ გზით მიდის დღეს პლანეტის ასზე მეტი ქვეყანა 2 მილიარდამდე მოსახლეობით. „დასავლეთ-აღმოსავლეთისგან“ ავტონომიური მიუმხრობლობა ძირითადი საგარეო-პოლიტიკური დოქტრინა და პრაქტიკაა ამ ქვეყნებისთვის. ეს არის სამხედრო ბლოკებისგან და პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირებისგან დამცავი ჭოლგა.

მიუმხრობლობის მოძრაობის ერთ-ერთმა იდეოლოგმა, ინდოეთის პირველმა პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ 1946 წელს განაცხადა, რომ ბრიტანეთის იმპერიალიზმისგან განთავისუფლებულ ინდოეთს განზრახული ჰქონდა „ურთიერთმოწინააღმდეგე დაჯგუფებათა პოლიტიკისგან განზე დგომა“, რაც სულაც არ არის იგივე ნეიტრალიტეტი, პასიურობა და იზოლაცია; არც ორ სკამს შუა ჯდომაა. ეს იყო ახლად განთავისუფლებული ქვეყნის დამოუკიდებელი, აქტიური საგარეო-პოლიტიკური კურსი.

მიუმხრობლობის მოძრაობა მსოფლიო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამ მოძრაობის მიმდევარ ქვეყნებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მთელი ხმების ორი მესამედი აქვთ და, ამდენად, მათი თანხმობის გარეშე, პრინციპში, შეუძლებელია რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კოლონიური სისტემის რღვევის შეუქცევად პროცესს ბუნებრივად თან მოჰყვა განთავისუფლებულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა რაოდენობის ზრდა. მკვეთრად შეიცვალა მსოფლიოს პოლიტიკური რუკა. ახლად განთავისუფლებულ ქვეყნებს არ სურდათ სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების გავლენათა სფეროში მოქცევა და არც კაპიტალიზმისა და სოციალიზმის „ცივ ომში“ ჩაბმა. მათთვის ისტორიულად შემზადდა სოლიდარობის იდეა, რათა ერთობლივად დაეძლიათ ქრონიკული ჩამორჩენილობა, თანასწორი ადგილი დაეჭირათ მსოფლიო გაერთიანებაში, რამეთუ შეგნებული ჰქონდათ, რომ პოლიტიკური თავისუფლების მიღწევა არ არის დეკოლონიზაციის პროცესის დასასრული.

რა უნდათ, რა პრინციპული მიზნები აქვთ და რისთვის გაერთიანდნენ მიუმხრობელი ქვეყნები? ამ იდეის თავგამოდებული დამცველები ამტკიცებენ, რომ ესაა ყველაზე საუკეთესო საშუალება დედამიწაზე მშვიდობისა და უსაფრთხოების დასაცავად. მიუმხრობლობის მოძრაობის იდეაში ჩადებულია განთავისუფლებული ქვეყნების ინტერესების დაცვა საერთაშორისო ასპარეზზე, გარე აგრესიისგან სუვერენიტეტის დაცვის ფაქტორი, ეროვნულ-განმათავისუფლებლური ბრძოლისადმი სოლიდარობა. ესაა სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის პირობებში განვითარებადი ქვეყნების ინტერესთა ბალანსის ამსახველი საგარეო-პოლიტიკური კონცეფცია.

მიუმხრობლობა არის უნივერსალური საერთაშორისო-პოლიტიკური თანამეგობრობა, განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფოთაშორისო პოლიტიკური გაერთიანება. თავისი შემადგენლობით ერთგვაროვანი არ არის ის. აქ შემოდიან სხვადასხვა პოლიტიკური რეჟიმების სახელმწიფოები. საერთოდ, მიუმხრობლობის დოქტრინა მოიცავს პოლიტიკურ იდეათა უაღრესად ფართო სპექტრს — მარქსიზმიდან მონარქიზმამდე. მისი საფუძველია — ერთიანობა მრავალფეროვნებაში, პრინციპები — მოქნილი.

მიუმხრობლობის მოძრაობის დამაარსებლად ითვლებიან ჯავაჰარლალ ნერუ, იუგოსლავიის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო, ეგვიპტის პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი, ინდონეზიის პრეზიდენტი სუკარნო და სხვები.

მიუმხრობლობის პოლიტიკის ფორმირების გზაზე უმნიშვნელოვანესი მომენტი იყო აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენცია 1955 წელს. აქ დაიბადა ახალი საერთაშორისო ძალა — კოლონიური და ნახევრადკოლონიური დამოკიდებულებისგან განთავისუფლებულ ახალ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ჯგუფი. პირველად გამოვიდა კოლექტიურად მსოფლიო პოლიტიკის არენაზე ერთობლივი ანტიკოლონიური და დემოკრატიული პლატფორმით. ამ კონფერენციამდე ორი წლით ადრე (1953 წ.) იუგოსლავიის პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ ტიტომ ინდოეთის ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში წამოაყენა „მშვიდობისათვის უნივერსალური პროგრესული მოძრაობის“ იდეა. იუგოსლავიის მიერ ამ გზის არჩევის მოტივი განსხვავდება აზიისა და აფრიკის სხვა სახელმწიფოების მიერ მიუმხრობლობის იდეის არჩევის მოტივისგან. მაგ. ეგვიპტე, ინდოეთი და იუგოსლავია ერთმანეთისაგან განსხვავებული გზებით მივიდნენ მიუმხრობლობამდე, ისეთით, რომელიც მათ ეროვნულ ინტერესებს და ამ ქვეყნების ლიდერთა ხასიათსა და სტილს შეესაბამებოდა.

პირველ ეტაპზე, 1946-1960 წ.წ. მიუმხრობლობის მოძრაობის ძირითადი იდეა ემსახურებოდა იმას, რომ წინ აღდგომოდა ბლოკების პოლიტიკას, რასიზმს, კოლონიალიზმს, დისკრიმინაციას და აგრესიას. მეორე ეტაპზე, ანუ 1961 წლის შემდგომ, მიუმხრობლობა ახალი საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური წყობის დამყარების ინიციატორად გამოდიოდა. პირველ ეტაპზე მიუმხრობლობის დოქტრინა გამოჩნდა „პოზიტიური ნეიტრალიტეტის“ სახით (რაც არ არის დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის „მუდმივი ნეიტრალიტეტის“ იდენტური ცნება). 60-იანი წლებიდან კი ძირითადი საქმიანობა მიმართული იყო პოლიტიკური დეკოლონიზაციის დამთავრებისკენ და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვებისკენ.

1961 წ. ივნისში კაიროში მოეწყო აზიის, აფრიკის, ევროპის და ლათინური ამერიკის ქვეყნების წარმომადგენლების მოსამზადებელი კონფერენცია მიუმხრობლობის მოძრაობის I კონფერენციის მოწყობის, მისი ამოცანების, მიზნების და განსახილველი საკითხების განსასაზღვრავად. ამ კონფერენციაზე ჩამოყალიბდა დოქტრინის ძირითადი კონცეფციები:

1. მიუმხრობელმა ქვეყანამ უნდა განახორციელოს დამოუკიდებელი პოლიტიკა სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი სისტემის თანაარსებობის პრინციპების და მიუმხრობლობის საფუძველზე, ანდა აჩვენოს, რომ ემხრობა ამგვარ პოლიტიკას.
2. ქვეყანამ თანამიმდევრულად უნდა დაუჭიროს მხარი ეროვნულ-განმათავისუფლებლურ მოძრაობას.
3. ქვეყანა არ უნდა იყოს დიდ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტის კონტექსტით დადებული მრავალმხრივი სამხედრო კავშირის წევრი.
4. ქვეყანას თუ ორმხრივი სამხედრო კავშირი აქვს დიდ ქვეყანასთან, ანდა რეგიონულ თავდაცვით პაქტში შედის, ეს კავშირი ან პაქტი შეგნებულად არ უნდა იყოს დადებული დიდ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტის კონტექსტში.
5. ქვეყანამ თუ უფლება მისცა უცხო სახელმწიფოს სამხედრო ბაზების გამოყენებაზე, ეს უფლება არ უნდა მიეცეს დიდ სახელმწიფოთა შორის კონფლიქტის კონტექსტში.

მიუმხრობლობის მოძრაობას ორი მთავარი ორგანო აქვს: მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა ან მთავრობათა მეთაურების და საგარეო საქმეთა მინისტრების რეგულარული შეხვედრები. მათ შეხვედრას ჰქვია კონფერენცია. ეს კონფერენციები ტარდება სამ წელიწადში ერთხელ. დროისა და ადგილის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ წინა შეხვედრაზე მონაწილე რომელიმე ქვეყნის წინადადების საფუძველზე. კონფერენციის მომწყობი ქვეყანა ხდება მიუმხრობლობის მოძრაობის თავმჯდომარე, ხოლო ამ ქვეყნის მეთაური — თავმჯდომარე-კოორდინატორი. კონფერენციის ჩატარების ხარჯებს იღებს მომწყობი ქვეყანა (თვითონ მოძრაობას ერთიანი ბიუჯეტი არა აქვს). მიუმხრობლობას ასევე არა აქვს თავისი პროგრამა, წესდება, მმართველობითი სტრუქტურები.

მიუმხრობლობის მოძრაობის შეხვედრებზე მონაწილეთა სამი სტატუსია: სრულუფლებიანი მონაწილე, მეთვალყურე და სტუმარი. მეთვალყურის სტატუსი თავიდანვე არსებობს, სტუმრის სტატუსი კი 1970 წელს შემოიღეს. მეთვალყურეც და სტუმარიც შეხვედრის სხდომათა დარბაზში არიან და ყველა ღია სხდომას ესწრებიან. კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ეროვნულ-განმათავისუფლებლურ მოძრაობებს და დროებით მთავრობებს მათ მიერ დამოუკიდებლობის მიღებამდე სრულუფლებიან წევრადაც კი იღებენ, რადგან ამ მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაა. აღიარებს, აგრეთვე, ხალხთა თვითგამორკვევის უფლებებს.

მიუმხრობლობის მოძრაობაში ჩაბმის მსურველმა ქვეყანამ თხოვნით უნდა მიმართოს საკოორდინაციო ბიუროს. საკმარისია ერთი ოფიციალური წევრის ოფიციალური მხარდაჭერა.

1964 წლიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მოქმედებს განვითარებადი ქვეყნების (გაეროში ორი ტერმინია მიღებული „განვითარებადი“ და „ნაკლებ განვითარებული“) დიპლომატიის მექანიზმი „ჯგუფი 77“.

ცვალებად სამყაროში ევოლუციას განიცდის მიუმხრობლობის მოძრაობაც. 80-იანი წლებიდან ამ მოძრაობის ყურადღება კონცენტრირებულია ხუთ ძირითად სფეროზე: მშვიდობისა და ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილების პრობლემა; ბრძოლა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა გარდასაქმნელად; კოლონიალიზმისა და რასიზმის საბოლოო აღმოფხვრა; განვითარებად ქვეყნებს (მიუმხრობლობის მოძრაობის წევრებს) შორის კონფლიქტების რეგულირება; საერთაშორისო ურთიერთობაში დემოკრატიზაციის ხაზის გატარება და სხვ.

დღეს მიუმხრობლობის მოძრაობას ლიდერთა ახალი თაობა უძღვება, რომლებიც თავიანთი მსოფლმხედველობით საკმაოდ განსხვავდებიან წინამორბედთაგან, ანტიკოლონიურ ომებში პირადად მონაწილე ლიდერები შეცვალეს ომისშემდგომ პერიოდში ჩამოყალიბებულმა ლიდერებმა.

**ნოდარ კერესელიძე**


გამოიწერეთ ყოველკვირეული გაზეთი

„თავისუფალი საქართველო“

ფასი: 1 თვით—2 მან. 15 კაპ.

3 თვით—6 მან. 45 კაპ.

6 თვით—12 მან. 90 კაპ.

12 თვით—25 მან. 80 კაპ.


**ნოდარ ხოსიტაშვილი**

მოულოდნელად წავიდა ჩვენგან საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი, საგარეჯოს რაიონის საკრებულოს გამგებელი ნოდარ ხოსიტაშვილი, საქმიანი, ზრდილი, კეთილშობილი და თავაზიანი ახალგაზრდა; საუკეთესო მეგობარი, შესანიშნავი მოქალაქე, მამულიშვილი.

მსუბუქი ყოფილიყოს სამშობლოზე შეყვარებული რაინდისთვის ქართული მიწა.

**საქართველოს ჰელსინკის კავშირი.**

საქართველოს ჰელსინკის კავშირი თანაგრძნობას უცხადებს ჰელსინკის კავშირის გამგეობის წევრს ბატონ თემურ ქორიძეს მამის

**აკაკი ქორიძის**

გარდაცვალების გამო.

გაზეთი „თავისუფალი საქართველო“ თანაგრძნობას უცხადებს ბატონ თემურ ქორიძეს მამის

**აკაკი ქორიძის**

გარდაცვალების გამო.

გაზეთი „თავისუფალი საქართველო“ თანაუგრძნობს რედაქციის კორესპონდენტს თამთა ცეცაძეს დედის

**მედეა ამბროსის ასული ბვასალია-ცეცაძის**

გარდაცვალების გამო.


რედაქტორი თამარ ებრალიძე

სარედაქციო კოლეგია: ზვიად გამსახურდია, მუხრან მაჭავარიანი, ზურაბ პეტრიაშვილი, თემურ ქორიძე, ნოდარ წულეისკირი, მარიკა აბაიშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა № 14. ტელეფონი 98-81-57.

ინდექსი 66421

იბეჭდება ოფსეტური წესით ხოშარაულის ქუჩა № 29